საქნახშირი შპს "საქნახშირი"

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 1/ო 14 «21» 02 2020 წელი

N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში დამხმარე ჭაურის ამწე დანადგარის სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების და აღრიცხვის დროებითი ცვლილების შესახებ

ვინაიდან სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ტექნიკური ინსპექტირების ოქმი #07/53-ის პუნქტი #8-ს შესაბამისად, N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბნის დამხმარე ჭაურის ამწე დანადგარის ორივე მზიდ ბაგირს ექსპლუატაციის ვადა ეწურება 2020 წლის 26 თებერვალს, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე და დასაქმებულთა სამუშაო ადგილამდე შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020 წლის 26 თებერვლიდან N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბნის სახალხო სატვირთო ჭაური გადაყვანილი იქნას სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების შესანარჩუნებლად მუშაობის რეჟიმში, ბაგირების შეცვლამდე.
2. შეჩერების შემდგომ, დაუყოვნებლივ დაიწყოს და განხორციელდეს N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბნის დამხმარე ჭაურის ამწე დანადგარის მდგომარეობის სრული შესწავლა შესაბამისი სპეციალისტების მიერ. შედეგების, დასკვნების და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია

გაცნობილ იქნას დაინტერესებულ დასაქმებულთა ჯგუფებისა და/ან მათი წარმომადგენლებისათვის;

3. ინსპექტირების დასკვნის მიღების შემდგომ, მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდეს ამწე მექანიზმების სარემონტო სამუშაოების დაგეგმარება (შესასრულებელი სამუშაოები, ღირებულება და მათი შესრულების ზუსტი ვადები) და შესრულება;
4. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ, ჩატარდეს განმეორებითი ინსპექტირება და ამწე მექანიზმების ექსპლუატაციაში შეყვანა განხორციელდეს შესაბამისი დასკვნის მიღების შემდგომ;
5. 2020 წლის 26 თებერვლიდან, სარემონტო სამუშოების დასრულებამდე, N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში და მის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (მზადების ჯგუფი, აღდგენითი სამუშაოების ჯგუფი, ტრანსპორტისა და ელ. დეპოს ჯგუფი, საშახტო აწევისა და წყალქცევის ჯგუფი) დასაქმებულთა უშუალოდ სამუშაო ადგილებამდე დაშვება/გადაადგილება დროებით განხორციელდეს შპს ,,საქნახშირი"-ს ძირითადი შენობიდან (მის: ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. N13), შემდეგი პროცედურების და პირობების დაცვით:
   5.1. ყოველი ცვლის დაწყებისას, დასაქმებულთათვის სამუშაო განწესის გაცემა, სპეცტანსაცმლით, მეშახტის სანათით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებით აღჭურვა, სალამპე-სატაბელო განყოფილებაში აღრიცხვა, განხორციელდეს ადგილმდებარეობის უცვლელად (მის: ტყიბული, მეშახტის. ქN39),
   5.2. წინამდებარე 5.1. პუნქტით გათვალისწინებული მოსამზადებელი პროცედურების გავლის შემდგომ, დასაქმებულთა გადაადგილება, კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი ავტოტრანსპორტით, განხორციელდეს შპს ,,საქნახშირი"-ს ძირითად შენობაში (მის: ტყიბული თაბუკაშვილის ქ. N13);
   5.3. სამუშაოზე გამოცხადების დადასტურებისა და სამუშაოს დაწყების დროის ზუსტი აღრიცხვის მიზნით, შპს ,,საქნახშირი"-ს ძირითად შენობაში (მის:

ტყიბული თაბუკაშვილის ქ. N13) გამოცხადებულ დასაქმებულებს დაევალოთ სალამპე-სატაბელო განყოფილებაში აღრიცხვის გავლა;

5.4. N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბნის და მისი დაქვემდებარებული ყველა სტრუქტურული ერთეულის სამთო ოსტატებს დაევალოთ მათზე გაცემული განწესის შპს „საქნახშირი"-ს ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების უბნის ხელმძღვანელობასთან შეთანხმება, განწესის ჟურნალში გაფორმება;

5.5. გაცემული განწესის შპს „საქნახშირი"-ს ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების უბნის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების, განწესის ჟურნალში შესაბამისი წესით გაფორმების შემდგომ, განწესის დამტკიცება განხორციელდეს საწარმოო სამსახურის მთავარი ცვლის უფროსის ან/და ცვლის უფროსის მიერ;

6. დაევალოს მთ. ინჟინრის მოადგილეს - გიორგი ბაბუხადიას და სალამპე-სატაბელო განყოფილების უფროსს - იზოლდა აბუთიძეს N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში და მის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულთა აღრიცხვის სრულფასოვანი და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველყოფა;

7. იმ შემთხვევაში თუ N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში და მის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულთა სრული შემადგენლობა გამოთქვამს სურვილს, განწესის გაცემა განხორციელდეს შპს „საქნახშირი"-ს ძირითადი შენობიდან, შესაბამის ხელმძღვანელ პირებს დაევალოთ ყველა საჭირო პირობის უზრუნველყოფა;

8. N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში და მის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და აღრიცხვის დროებით ცვლილებასთან დაკავშირებული განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა, დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

9. დასაქმებულთა სამუშაოზე გამოცხადების, შახტაში შესვლის, შახტიდან გამოსვლის და ავტოტრანსპორტით გადაადგილების გრაფიკი ყოველი ცვლის მიხედვით, დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

10. N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში და მის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და აღრიცხვის დროებით ცვლილებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა განხორციელდეს არაუგვიანეს 26 თებერვლის ჩათვლით;

11. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მთ. ინჟინერს ოლეკსანდრ ლოვინს და დირექტორის მოადგილეს წარმოების დარგში ბადრი არაბიძეს.

12. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 24 თებერვლიდან.

13. N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბნის დამხმარე ჭაურის ამწე მექანიზმების სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე და ამწე დანადგარის მექანიზმების ექსპლუატაციაში გაშვებისთანავე, წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად და N4 საექსპლუატაციო (ნახშირმომპოვებელი) უბანში და მის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულთა გადაადგილება უშუალო სამუშაო ადგილებამდე განხორციელდეს წინამდებარე ბრძანების ამოქმედებამდე არსებული წესის შესაბამისად.

შპს „საქნახშირი"-ს
გენერალური დირექტორის
შპს „კოალ ოფ ჯორჯია"-ს
დირექტორი ზურაბ აღდგომელაშვილი

საქართველო შპს „საქნახშირი"
230868120
საქნახშირი
2
GEORGIA „SAQNAKHSHIRI" LLC